



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



29/04/2020



MES 8 20 00352845

**„კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსების „უსაზღვრო შესაძლებლობები“ - კულტურულ ღონისძიებებში შპმ პირთა მონაწილეობა“ და „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ - დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“ საკონკურსო დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N288 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 23 აპრილის N346107 მოხსენებითი ბარათისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 24 აპრილის N346663 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. შევიდეს ცვლილება „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსების „უსაზღვრო შესაძლებლობები“ - კულტურულ ღონისძიებებში შპმ პირთა მონაწილეობა“ და „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ - დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“ საკონკურსო დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N288 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „კულტურის

ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N2027 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 32 09 02) პრიორიტეტის „კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება“ ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსების „უსაზღვრო შესაძლებლობები“ - კულტურულ ღონისძიებებში შშმ პირთა მონაწილეობა“ და „ხელოვნება გამყოფი ხაზების გარეშე“ - დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და რეგიონებში სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობა“ საკონკურსო დებულებები, ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის მინისტრი  
მიხეილ ჩხენკელი

